

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების)
საჭიროებისათვის პურის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2012წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
4. დამატებითი ინფორმაცია	11
5. დანართი N1 სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები.....	12
6. დანართი N 2 ანგარიშსწორების პირობები და ვადები	13
7. დანართი N3 რეკვიზიტები.....	14

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 სატენდერო წინადადების ფასი

სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის დ.ღ.გ.–ს გათვალისწინებით თუ პრეტენდენტი არის დ.ღ.გ.–ს გადამხდელი.

2.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური პირობები, მიწოდების ვადები და ადგილი:

2.2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური პირობები, რაოდენობა, მიწოდების ვადები და ადგილი განსაზღვრულია დანართი №1-ით.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით – ლარში.

2.3.2 ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №2-ის მიხედვით

2.4 ტექნიკური მოთხოვნები - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები, მიწოდების ვადები და ადგილი დანართი N1-ის მიხედვით; პრეტენდენტმა დანართი N1-ში უნდა შეავსოს მხოლოდ ის გრაფები, რომელიც ივსება პრეტენდენტის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი ინფორმაციის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ გააჩნია და უნდა დაეთანხმოს შემსყიდველის მოთხოვნებს, დანართი N1 წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის დაცვით;

ბ) თანხმობა ანგარიშსწორების პირობებსა და ვადებზე დანართი N2- ის გათვალისწინებით;

გ) რეკვიზიტები – დანართი №3-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

დ) საქონლის დამზადებისთვის გამოყენებული ფქვილის ხარისხის ან/და წარმოშობის სერთიფიკატის ასლები, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი პოზიციების მიხედვით;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში)

ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაციის ყველა გვერდი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

_____ 2012წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“)

წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილი სახით.

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144, ფაქტობრივი მისამართი თამარაშვილის ქ. №15^ა მე-3 სართული.

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____

მისი _____

იურიდიული მისამართი _____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი) (შემდგომში მიმწოდებელი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სააგენტოს საჭიროებისათვის სხვადასხვა საკვები პროდუქტების (პურის პროდუქტები, ახალი საკონდიტრო ნაწარმი და ნამცხვრები) შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი _____ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1 - ტექნიკური პირობები) შესაბამისობის დადგენა.

2.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი

3 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1).

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველდღიურად 2012 წლის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ყოველი კალენდარული დღის მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობისა და რაოდენობის მიხედვით ადგენს და ერთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით გადასცემს/უგზავნის მიმწოდებელს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის საფუძველზე შედგენილი საქონლის მიწოდების მოთხოვნის შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება მოთხოვნით განსაზღვრულ რომელიმე კონკრეტულ კალენდარულ დღეს. მიუწოდებელი საქონლის მიღება შემსყიდველის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ განხორციელდება მომდევნო დღეებში და შესაბამისად ავტომატურად მოხდება ხელშეკრულების ღირებულების შემცირება მიუღებელი საქონლის ღირებულების პროპორციულად, მიმწოდებელს ასევე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4 საქონლის ყოველდღიური მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება პურის შემთხვევაში 300 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.

4.5 საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების დადასტურებით.

5.2 საქონლის მიღებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების დანართი №1 -ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონლის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართ #1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ან ფილიალის უფროსის მიერ მოთხოვნილ რაოდენობებთან, ადგენს შესაბამის შუალედურ ინსპექტირების დასკვნას შესაბამისი ხარისხის მოთხოვნით.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას დადასტურებს მიმწოდებლის მიერ წარდგენილ სასაქონლო ზედნადებს.

5.4 მიმწოდებელმა საანგარიშო კალენდარული თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ დადასტურებული სასაქონლო ზედნადებები, შუალედური ინსპექტირების აქტები (არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მოთხოვნები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.5 ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“.

5.6 ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების კონტროლს განხორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების აქტს და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან საანგარიშო კალენდარული თვეში მიწოდებულ საქონელზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საანგარიშო კალენდარული თვის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.7. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა იმავე დღეს;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება

7.2.2. დროულად განიხილოს „მიწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად რომელიმე კონკრეტულ კალენდარულ დღეს არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს თითოეულ ასეთ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის დაფიქსირებული ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის –

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ————— გვერდზე, 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144

სახელმწიფო ხაზინა

კოდი № -----

ა/ა № -----

ს/კ № -----

„მიმწოდებელი“

თამარ მახარაშვილი

დირექტორი

4. დამატებითი ინფორმაცია.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15^ა მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ილია რევაზიშვილი, შოთა ჯორჯიკია, გიორგი კვაჭაძე. ტელ: +99532 239-53-19

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები
1.ფასების ცხრილი

შევსების თარიღი, „___“ _____ 2012წ
სატენდერო წინადადების ფასი _____ ლარი
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრობრივად) (თანხა სიტყვიერად)

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური პირობები	რაოდენობა კილოგრამებში (***)	ერთეულის ღირებულება (ლარებში) (*)	საერთო ღირებულება (ლარებში) (*)	მიწოდების პირობები (**)	მიწოდების ადგილი
1	პური თეთრი	ახალი, 400-600 გრამიანი დამზადებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან	230			ყოველ დღე, მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. #3
			1000				თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-2 კვარტალი
			1000				თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი. მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4
2	პური დიაბეტური	ახალი, 400-600 გრამიანი, შეფუთული, ქარხნული, დამზადებული ჰვავის ფქვილისაგან	100			ყოველ დღე, მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-2 კვარტალი

შენიშვნა:
(*) დღე-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღე-ს გათვალისწინებით, ასევე პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს საქონლის ღირებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი მიწოდების ადგილამდე გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში
()** საქონლის მიწოდების ყოველდღიურ მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობისა და რაოდენობის მიხედვით ადგენს და წერილობით ან ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით გადასცემს/უგზავნის მიმწოდებელს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება. საქონლის ყოველდღიური მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება პურის შემთხვევაში 300 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.
(*)** რაოდენობა კილოგრამებში გულისხმობს, რომ რაოდენობა გათვლილია სააგენტოს ფილიალებში მყოფი ბენეფიციარების მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით და რაოდენობის დარეგულირება განხორციელდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) უფროსის მიერ შედგენილი საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.

(ხელმოწერა)

ბ.ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ

- ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.
- ანგარიშსწორება განხორციელდეს _____ მიერ, ხელშეკრულების შესაბამისად
(პრეტენდენტის დასახელება)
გაფორმებული ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშგაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან), წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2012 წლის დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ანგარიშსწორების მიზნით ჩვენს მიერ 2012 წლის 20 დეკემბრამდე წარმოდგენილი იქნება დეკემბრის თვეში მისაწოდებელი საქონლის ღირებულების შესაბამისი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია.

ხელმოწერა

ბ.ა.(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

მომსახურე ბანკი

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(ხელმოწერა)

ბ.ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)